

იუმორისტ. ჟურნალი



აშუშაპირს აძაღორთასი




№ 38



საამო სპუბარი (რუსულიდან)

- თქვენ ეო, ყვაპეზო, რისთვის მოხმებულხართ?
- სასწავლაო ბატონო.
- ჰმ! განა ვგრე გწყურიათ სწავლა?
- როგორ არ უნდა გწყუროდეს ბატონო.
- ჰმ! თქვენ იქნებ არათმეტოკის სწავლაც გინდათ ა?
- ყველაფრისთვის მადლობელი ვიქნებით, რასაც გვასწავ-
ბატონო.
- ჰმ! განა ართმეტოკა ბოტანიკას სჯობია?
- აბა, ჩვენ უსწავლელებს რა გაგვეგება ბატონო? რასაც
გვასწავლით ყველა კარგია.
- ჰმ! კარგია ერთი! დაიწყებთ სწავლას და მაშინვე თა-
ვისუფალი სიყვარულის ლიგას გახსნით!



სპარსეთის რეაქცია.

შასო, დაუძვი სმლიანი სელი,
თორემ იგრგვინებს შავი ღრუბელი!

ბოგანო ბლენის მწუხარება.

დღე და ღამე მიწას დავსტკერ
მოუსვენრათ ვიქნევ თოხსა,
მაგრამ მაინც ვერ ვუშველე
მშიერ ცოლ-შვილს, წახრილ ქოხსა!

ბაღლები მთლათ შიშველი მყავს,
ცოლს არა აქვს თავსაფარი,
მე ტანთ ჩოხა არ მაცვია,
და ფეხებზე—ქალამანი!

მაგრამ ამას ვინ დაეძებს
და ვის ესმის ჩემი ქირი:
კარს მადგიან მათრახებით
მამასახლისი და გზირი.

მიწა მაინც რომ მქონოდა
საკმარისი, საკუთარი
და მყოლოდა ერთი ძროხა
და იმასთან უღლათ ხარი,—

სუყველაფერს ვაფუძლებდი,
სუყველაფერს ავიტანდი
და ცხოვრების მძიმე უღელს
საფლავამდე მივიტანდი.

მაგრამ არაა მახადია,
ბოგანო ვარ, უქონელი,
მხოლოდ ძალა შემჩინია,
ეს ცოცხალი საქონელი.

ვყიდი, მაგრამ დღეს იმასაც
აღარა აქვს გასავალი
და, ორ ცეცხლში მომწყვდეულსა,
მეკიდება ქმუნვის ალი!

ვ. ჩახრუხაძე.



ეშმაკის მოკსაურობიდან.

გამოირკვა, რომ ოსურგეთიდან ეშმაკი ბახვის ღი-
ნეკით აღმოსავლეთისკენ წასულიყო. კზა და გზა ბ-ნმა
შეღინეიკემ ეშმაკს გამოუნხადა თავისი მწუნსარება უკმა-
ყოფილება შესახებ იმ სენსაციონური წერილისა, რომელიც

დაიბეჭდა „მათრახის“ ერთ-ერთ ნომერში ბ-ნი დურდა-
ნელის ფსევდონიმით.

გამოირკვა, რომ ბახვის ღინეიკა მხოლოდ ერთ-
სეულ გადბრუნებულა და ისიც ისეთ ბინძურ ალაგას, რე-
გორიც ივ. ანთაძის ეზოა. ეშმაკი დაერწმუნა მომჩივნის,
რომ აქ მართლა საძიებელია შიშვიდობით გასვლა და აღუ-
თქვა: საუველური გამოუნხადოს ბ-ნი დურდანელს.

ცხენების შესახებაც ბ-ნი ეშმაკი სრულიად გაოცე-
ბული დარჩა, როცა ნახა თავისი ბედნიერი თვალებით,
რომ „კატებს“ დიასაც არაფერში ჭკაფდენ და ახრებები-
თაც ბევრათ სჭარბობდენ.

— რა ვქნა შენი-ჭირი, თუ არ მიეცი ადგილი,
მგზავრი თავს მოიკლავს და თუ მიეცი ასეთ ლექსს და-
გიწერსო, უთხრა მეეტლემ.

— ბარჯს ნუღარ იკითხავ, განაგრძო მან, თითო
ურეში არ ეუფოთა იმდენს ჩამოზიდავენ ეს დაფოცვილები
და რა ვქნა ვარს ვერ ვეუბნები. მე მაშინ ვიქნები გასა-
მტუნარი იფუღს რომ ვახდიებდე ბარჯის წადებაში მაც-
რამ მე ის უფრო მეწინაა, ბ-ნი თ—ვილისთანა კაცი გა-
მომიუგანეს, მე ხომ სოფლისთვის სამსახურის მეტი არა-
ფერი მიქნია და იმან მართლა გაუტეხა კაცს თავი.

ამბობენ, ბახვიდან ეშმაკს ბახმაროში წასვლა უნდო-
და, მაგრამ ვაკიფვარში ცოტა უსიამოვნება მოუვიდა მე-
ცხენებთან და უკუ იქცა. თურმე ვაკიფვრელები თითო-
ულ ცხენზე ბახმარამდე ოთხ ქანქარს ითხოვენ და საე-
რთო თანხმობით სხვასაც არ აძლევენ ნებას ადგილობრივ
სამგზავრო ცხენები იუფლიოს ნაკლებ ფასებში გასაქი-
რავებლათ. დროის უქონლობის გამო ეს საქმე საფუ-
ძლიანათ ვერ გამოერკვია ეშმაკს და იქაურ გამოძიებ-
ლისთვის მიენდო, რომლისგანაც ელის ვრცელ მონსე-
ნებას.

სოფ. ხიდისთავში ეშმაკი ინკოგნიტოთ მისულა.
ეს მოხდა რამდენიმე დღით ადრე, ვინემ ცნობილი გა-
ლთა წხუბი“ დაიწიებოდა. როგორც უფუელთვის, დიაცთა
უთანხმობა, აქაც უბრალო ჭორებიდან აღორძინებულიყო
და ქიჩორთა გლეჯამდის განვითარებულიყო.

საზოგადოთ მთელი ადებ-მიცემობა ხიდისთავის ბა-
რისის საგრძნობლათ დაცემულიყო. მაისის განმავლობა-
ში შარშანდელთან შედარებით ნაკლები გაყიდულა: ტარა-
ნაი 17 თავი; ნავთი 27 გირკანქა; სპონი 13 გირ. და
ერთი ასმუშქა; თავის საბანი შაწა 7 გურგუში; ნიორი
32 პებილი; შაქარი 19 კიჭკი; მარილი 6 1/2 გირფარქა;
სპიჩკა 9 კარობკა.

ამ საგრძნობელი კრიზისისა გამო უმეტესი ნაწი-
ლი სავაჭრო სახლებისა დახურულია.

„მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა“ ეშმაკი ქუ-
თაისისკენ მიაქროლებოდა ჩონხტაურის დანჯრულ ეტლს და
წინააღმდეგ ჩვეულებისა ეტლში ორმოცი კაცის ნაცვლად
მხოლოდ ერთი იჯდა და ცხენებს აშკარათ ემწივებოდა
„შეგბა სულია.“

საჯავახოს ბაზარი — ეს მუდმივი სათარეშო სხვა და სხვა ღარაკებისა — არა ნაკლებ ხიდიოთავისა განიდღის ფაქრთა-მრეწველობის კრიზისს. კარგო რესტორანი უნდა, რომ დღეში 7—8 ჰორცია ღობიოს მეტი გაასაღოს. მღივანი ეზიპოსისა.



დილა.

ჩუ! აბიბინდა ჯეჯილი,
ტყე შეკრთა ნელის შრიალით,
ყვავილი ყვავილს გაეკრა
აღსაესე გრძნობის ფიალით:
ბალახთ შეექნათ ჩურჩული,
ამოიმშრალეს თვალეები,
გაუზიარეს ერთმანეთს
გულის თქმა იღუმალეები;
ფრთა ფრთას შემოჰკრა მერცხალმა
ქიკჭიკით გაინივარდა,
დაფრთხა ტორილა მინდორში,
აიქრა, ცაში ავარდა.
თვისი რაკრაკი საამო
მოჰფინა არე-მარესა
და ქვეყნის სევდა ვარაში
უამბო პირ მკრთალ მთვარესა.

შორით ბულბულიც მოისმის
საამურის ხმით მყუფარე,
აღბათ იქ ბაღში ვარს გული
გადაშლილი აქეს მგზნებარე.
უმღერის თავის სატრფოსა
მგოსანი აღტაცებული
და ამ მოლოხენას ყურს უგდებს
ბუნება გალღებული...
მე კი... ვერ ვხედავ ჩემს სატრფოს.
გულის ტოლსა და ალაშსა,
ვერ ვუძღვნი დილის ძილისპირს,
ვერცა მოკითხვა-სალამსა.
არ ვიცი; ეხლა სადა მყავს:
კოცხალია, თუ მკვდარია?
სდუმს სამუდამოთ თუ ისევ
ტკბილი ხმით მოუბარია.

მიტომ ეს დილა, ბუნების
ლხენა ტკბილი და ამია,
ნიაფი, სტვენა ბულბულის
ჩემთვის ძირმწარე, შხამია!

ნ. ზომლეთელი.

სასაფლაოზე

(სტ. ხსოვნას)

ფრთებზე შემისვს ნიაფმა
ობოლ ფოთოლსა მადარა,
კაეშნაინი ტიტინით
შავი სავალი მატარა.
სასაფლაოზე მღუმარე
ტირიფი შეგვხვდა ობოლი,
შესაიდუმლეს საფლავთა
შემოძარცვდა ფოთოლი!
გადავხვებით კენწეროს,
ჩაუუაღერსეთ ტოტებსა,
და სეგღანის ტიტინი
ვასმინეთ ნორჩსა ელფრტებსა!
შემდეგ ხმა ტკბილად, ხმა მკუობრად
შავ საფლავთ, შავ ფიქრთ გაუღებით
დავსძახეთ: „მიტყალებუენო,
საფლავით აიშაღენით!
აქ ჩამარხოს მაგიერ
ხალხი სიმართლის მგომბელი!
ჩვენ გაფიშარჯვებთ, აღსდგით,
კვლავ იმედოვნებს სოფელი!
ეი, ობოლო საფლავნო,
დაჯანო თავისუფლების!
უდროდ რად ჩაქქრა კანდელი
ეგოდენ მამაც გულებსი!“
გარინდულიყო მიდამო,
პირი შეეკრა ზეტასა,
ისმენდა ჩვენსა დუღუნსა,
ისმენდა ჩვენსა კვენსასა. —
ფრთებზე შემისვს ნიაფმა,
ობოლ ფოთოლსა მადარა,
კაეშნაინი ტიტინით
საფლავ-საფლავად მატარა!
მაგრამ დუმილი... დუმილი...
რათ გათოშიღხართ არენო!
გვიშასუხეეთ — რათ დუშხართ,
საფლავნო შავნო, მწარენო!..

იასამანი.



ფ



რადგან შეტი ბარგი იყო
 იმ დროში ეს ბედ-გამწეველი.
 მაგრამ დადგა რეაქტია
 და კვლავ იგრძნო სისარული,
 ძველებურათ გაახურა
 „სამსჯავროში“ სიარული.
 ხან ვეჭიდობს, „აბლაკატობს“,
 ზოგჯერ კალამს იღებს ხელში,
 სად კინდა არ ჩეხნიროს
 გაქნილია ვეველათურში.
 მომხიფანს და მოხასუხეს
 ერთნაირათ ულაქეტებს
 და იქითაქენ გადახრებს
 ვინც შეტ ლუკმას გადაუგდებს.
 დევნილი.

პირველი. უჰჰჰ! რა მშვენიერათ ყარს ეს ქუჩა!
მეორე. აქ კილევ არაფერია მეგობარო! უპრავამ გა-
 დასწყვიტა მთავარი ქუჩები დამხრჩვალთ კატებით მოკირწყუ-
 ლოს.

ბამოცანები.

1.

(აღანიასთვის)

ღვინო არის ჩემი სტრუფო
 უიშისათ არად ვღირვარ
 დაფთვრები და თავს გაგიტეხს,
 „სოციალ-დემოკრატი“ ვარ!
 ქალებს კავშირი შეუკრავთ
 ჩაიშაღოს მსურველი ვარ
 და სხედვლს ხომ არ დაგაკლებ
 „სოციალ-დემოკრატი“ ვარ.
 დიღ-დიღობით ზირჯვარს ვიწერ
 ღვთის მორწმუნე ემაწვილი ვარ
 მიქარავენ „რადცაეს“
 „სოციალ-დემოკრატი“ ვარ.
 ესდეკები—მეზიზღება
 მათ ზრტვრამას გადავდივარ
 მაგრამ ხაღხს დაე ეგონოს
 „სოციალ-დემოკრატი“ ვარ!
 მრუდობას ვინ შემინიშნავს
 ისეთი „ზოლიტიკი“ ვარ,
 ვამბობ სხვის მოსატუელებათ
 „სოციალ-დემოკრატი“ ვარ.

წუმწუმა.

2

(ჯინიასთვის)

ერთობის დროს იმის ჯიბეს
 არ უხილავს გრძში ცაღი,

მოხსენება ბათუმელ ეზიპოსის კვინწარისა

თქვენო მაღალ-უეშმაკეულესობავ,
 დიღო ეშმაკო, გამქიქველო საგმი-
 რო საქმეთა სრულიად საქართველო-
 ისა და სხვათა და სხვათა და სხვათა!

მას შემდეგ, რაც თქვენ კეთილ ინებეთ ჩემ-
 თვის ფირმანის ბოძება დიდი ქალაქის ბათუმის დიდ
 საქმეთა სარევიზიოთ, კარგა ხანი გავიდა და ამ
 ხნის განმავლობაში მე მოვასწარი წარმომედგინა
 წინაშე თქვენსა მხოლოთ ერთი მოხსენება. მიზეზი
 ამ საკვირველ გარემოებისა ფრიად საკვირველ არს:
 მიუხედავთ იმისა, რომ მე ეშმაკი ვარ და, მაშა-
 სადამე, ეშმაკეულობითა ჩემითა დაზღვეულ უნდა
 ვიყო ყოველგვარ ქართა და ფათერაკისაგან, სენ-
 მა ერთმა, რომელიც ბათუმის ქაობებისაგან წარ-
 მოიშობის, — ჰოი საკვირველებავ, — მე, ეშმაკიც,
 კი მძლია და ჩამაგლო ლოგინათ. თქვენც ადვილათ
 მიხედვით, თქვენო მაღალ უეშმაკეულესობავ, თუ
 რა სენი უნდა იყოს ჩემი მძლევი. მე მოგახსენებთ
 ბათუმის დამბალ ციებაზე. ადვილი წარმოსადგენია,
 განსაკუთრებით ბათუმის სანიტარების მიერ, თუ
 რა საშინელი სენი ყოფილა ბათუმის დამბალი ცი-
 ება, თუ მას ეშმაკიც ვერ გავექეკი. შემოიჯღა, ბა-
 ტონო ჩემო, რქებში, ტანში, ასე გასინჯეთ — კულ-
 შიაც კი და ამაკანკალა და ამაკანკალა. რაღა მე-
 ქნა, დავემორჩილე ბედს. დიდხანს ვეგდე ლოგინათ
 და, როგორც იქნა, განვიკურნე ამ ბოლო დროს.
 ჩემს ავადმყოფობის დროს დიდი ღირსშესა-
 ნიშნავი ამბები მოხდა ბათუმში:

1) პირველი ის, რომ ქალაქის თავი ჯერაც
 კილევ დაკარგულათ ითვლებდა აქ და მათთან დაკარ-
 გულად ითვლებდა „პოპუდნი სბორიც“. როგორც გა-

ზეთებიდან ჩანს ადამიანთა შორის უეშმაკეს ადამიანს ნიკოლაძესაც არც ისე ქონია საქმე, როგორც ის იუწყებოდა და ანდრონიკაშვილს ხომ უარესად ექნება.

2) მეორე კი ის, რომ ჩემი ავთმყოფობის დროს ჩემდამო რწმუნებულ სამფლობელოდან ქალაქის თავის მოადგილე გასულიყო თფილისად, სადაც მას კენჭი ეყარა ზუბრთა ბანკის დირექტორობაზე და „პროტონათ“ გაშავებულიყო. ეს კი იმისი ბრალია, რომ მე ავთ ვიყავი. კარგათ რომ ვყოფილიყავი, დავარწმუნებდი გიორგი ღურშიშხანოვიჩს, რომ „ვისაც ბედმა რაცა მასცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“ და ბათუმიდან თფილისს არ ეპოტინებოდეს.

3) მესამე ის, რომ ბათუმის წყლის საყვანი იპავე მდგომარეობაში დამხვდა, რა მდგომარეობაშიაც ჩემ ლოგინად ჩავარდნის დროს იყო, ე. ი. წყალს ის კვლავინდებურათ არ იძლევა და ახალი წყლის საყვანის მოთავება კი კვლავინდებურათ გვიანდება ზღანოვიჩის უნიკიერეს ინჟინერ მიხაილოვის მიერ.

4) მეოთხე ის, რომ ს. მდივანი უქანქარო საქანქრეთში დირექტორათ აურჩევით და მავროპულო ისე შეუშინებიათ, რომ კენჭის ყრაც კი ვერ გაბედა თურმე, თუმცა სადაც ჯერ იყო დაებარებია: დირექტორათ დავბრუნდები და სადირექტორო სადილი დამახვედრეთო.

5). მეხუთე ის, რომ რილსკის ქარხანაში ფერშლის ადგილი აღმოჩენილიყო. ერთს ექიმს ამ აღ-

გილზე თავის კანდიდატი ყოლებოდა, სხვებს კიდევ სხვა. ეს „სხვები“ მისულიყვენ ექიმთან და აეწერათ რა თავის კანდიდატის მდგომარეობა, ეთხოვათ ექიმისთვის მოეხსნა კანდიდატურა თავის კანდიდატისა. ექიმს ეთქვა: ნეიტრალიტეტს დავიჭერო. არავინ იცის, დაირღვა ნეიტრალიტეტი თუ არა, ხოლო ის კი ცხადი შეიქნა, რომ არც ერთი მიიღეს და არც მეორე, არამედ მიიღეს სულ სხვა პირი.

6) მეექვსე ის, რომ ბათუმის მოთავეებს ნიკო თავდგირიძობა დამართიათ: რაკი ქანქარი გამოლევიათ, მიმდგარან და თხზავენ და თხზავენ პროექტებს ქანქარის მოსაზიდველათ. ქალაქის თვითმართველობაში მრავალი პროექტი ძევს პორტის გადასაკეთებლათ. თანახმად ერთი პროექტისა ეპირებიან ამოთხარონ დიდი ორმო, შიგ შეუშვან ზღვა და ის იქნება პორტი. უფულობა საუკეთესო საშვალეება ყოფილა ფანტაზიის ასამუშავებლათ.

სხვა კიდევ მრავალი ამბები მომხდარა, მარა ის შემდეგისათვის იყოს.

წარმოგიდგენთ რა ამა მოხსენებასა. საჭიროთ ვთვლი თან დაეძინო თქვენო მაღალ—უეშმაკეულესობაზე, რომ ჩემს რაიონში თქვენს ერთგულ ქვეშევრდომებს ძალიან დევნიან. ვისაც ჯერ კიდევ თქვენ მიერ ფირმანი ეშმაკათ გადაქცევისა არ ბოძებია, უბოძეთ დაჩქარებით, რათა შეეძლოთ მათ თავი დაახწიონ გასაქირის დროს ფათერაკსა, რაიც მოვლის მათ ურიცხვ ზურგ აცხუნებულ არსებათავან.

კვინწარი.

განცხრომის შვილს.

მე ვტირი, ვტირი გულ ამსკენილი,
მწარეთ მიკვნესის ტანჯული სული
შენ კი იცინი, განცხრომის შვილო,
სიამით გიძგერს ბოროტი გული!

დეე იცინე, იცინე ტკბილათ,
შენთვისაც დაკრავს წამი საცრემლო:
სიმაართის დმურთი დაჯდება ტანტზე
და მადეება შენს ზარზაშს ბოლო!

მაშინ... ახ, მაშინ მე გავიცინებ,
ამიტოკდება სიამით გული,
შენ კი იტირებ, განცხრომის შვილო,
აკვიკვნესდება განწწილი სული
გ. ჩანრუხაძე.

* * *

არსით მზე, არსით ვარსკვლავები, შთელი ქვეყანა



პირველი. წამოძანლით ბ-ნო კიდევ დეიწყო „მაქსიზმი და პიროვნება“ ნამდვილი საინტერესო დეკადენტური ლექციაა.

მეორე. იმე! მამა ცხონებულა უწინაც ასე მომატუეთ კაია და გამევიდა ვინცა მი გვაყარა, მოგვაყარა! კონხივით და წვეიდა. ყმაწვილო რაგა არ უნდა ეთქვა რაზე გველაპარაკა?

გარინდებული, განწირული ბნელში შთანქმულა,
არსით სიცილი, არსით ღსენა ირგვლივ ვეგელგანთ
თვით სასწარელი ჯოჯოხეთი გაშევებულა.

შეგ-მძიმე დრუბლეს დაუწრდილავს მთლად ჭორიზონტი
სდუმს არე-მარე, მგლოფიარე დამარხულ სხავის,
მსოფლოდ ბნელეთის მაცთიქული, საზიზღი ჭოტი
„ღამის სიმღერას“, სადიდებულს უცნოდ გაჭკივის.
გ. ქუჩიშვილი.

ს ი მ ლ ე რ ა ბ.

(ვუძლნი ციხის ამხანაზებს)


ციხე ვიგემე, მაგრამ მით
 არ გამტეხია გულისა,
 ის კიდევ უფრო გაკაჟდა,
 თუმცა ემატა წყლულისა.
 თავისუფლება-შეებაზე
 იქ კიდევ მეტს ვფიქრობდი
 და ღარღებს მწარე ხვედრისა
 ამხანაგებით ვიქრობდი.
 გარკეს ამხანაგებს რადა სჯობს!
 განხლებით მწარე დღეები
 ისე, რომ თითქოს ვლხინობდი
 საკანში ღანატუვევები!

სამთავროს „ტიფის“, „ეგვიპის“,
 თუ სხვა ზანსგარ სენისა
 საუკუო გახდა საკითხი
 სიცოცხლის, გადარჩენისა.
 მაგრამ ღაუსძლიეთ ვეკლა ეს,
 არ გატეკენ ჩვენი გულები
 და გამოვედით ჭირთაგან
 განაჯუ-გაწაფულები!

მაშ, მხნეთ! არ შედრკეთ, მოძმენ!
 ნუ შეგაშინებსო ტუვეობა!
 დღეს ვზიდათ, რომ ხვალ ღაგამსოთ
 შაგბნეჯი ძაღმომ რეობა!

ის ვერ გაუძლებს მიწოდას
 ჩვენი საერთო ძალისა
 და გაგვინათებს ამ წყვდიადს
 ცისკარი მომავლისა!..

ალექსანდრე.



ქართული პრესა

თუ საქმე წახდა სოც. დემ. მოქმედება, თუ
 გაკეთდა—„ნიშადურელების“; ამიტომ რაღა გასა-
 კვირია ისეთ „წამხდარი საქმეები“, როგორიცაა ავა-
 ზაკობა, ძარცვა-გლეჯვა, ქურდობა, ჯიბგრობა, კა-
 რის ილა, ხალხის მოტყუილება და სხ. „ნიშადურ-
 ჯირბირი როცა აფ-

კებიან მათ წრიდან, „ნიშადური კი მათ ს. დ. წრე-
 ში „შერეკას“ ცდილობს. ასეთია „ნიშადურის“
 მოღვაწეობა ქართველ ხალხის სასარგებლოთ. ერ-
 თი ასეთი „აღმოჩენა“ „ნიშადურის“ მე 48 ნომერ-
 შია მოთავსებული. როგორც ვიცით, ივანე როს-
 ტომაშვილი კახეთში სხვა და სხვა გვარი კასები
 დააარსა „ხალხის გასაბედნიერებლათ“, მარა შექმდე
 იქიდან ფულები თავის ჯიბეში გადაიტანა. ეს თა-
 ვის დროზე ადგილობრივმა გაზეთებმა კიდევაც აღ-
 ნიშნეს. არ უთქვამთ მხოლოთ, რომელი პარტიის
 სახელით მოქმედებდა როსტომაშვილი, ან რა რწმე-
 ნის კაცი იყო ის. „ნიშადურის“ ლოდეკას თუ გა-
 ყვევებით ისეთი კაცი, როგორიც როსტომაშვილია,
 უთუოდ სოც. დემ. უნდა იყოს, ამისთვის საბუთი,
 აბა, რა საჭიროა, მარა „ნიშადური“ ასე არ მოქ-
 ცეულა და თავისებური საბუთიც მოუყვანია. ის
 სწერს:

„ეხლა ჩვენი ცილები სულ იმაზე ფიქრობენ ერთი ჩქა-
 რა ფეხი წაუსხლტეთ ჩვენ კმრებს, რომ 500 მან. მივიღოთო,
 მაგრამ ჩვენი ვანიჩა რის ს. დ. გაზეთის რედაქტორი იყო
 თუ ასე მოიქცეოდა და იმ 500 მან. ადვილათ მისცემდა კასის
 წევრთ, ჩემ ჯიბეზე უფრო ახლოაო და სხ ..

განა ესაა იმის საბუთი, რომ როსტომაშვილი
 ს. დ.-ია? პრინციპის კაცი არასოდეს იმას არ იტ-
 ყვის თავის აზრის დასამტკიცებლათ, რაც აქ „ნი-
 შადურმა“ მოჩმახა, მარა რას ვამბობ: სად პრინცი-
 პი და სად „ნიშადური“? „ნიშადურმა“ იცის,
 რომ იმ დროს, როცა „მოგზაურის“ ს. დ. ხელში
 იყო, მაშინ ამ გაზეთის იდეურ მხარეზე როსტო-
 მაშვილს არავითარი გავლენა არ ქონია, იმ დროს
 ს. დ. ისარგებლეს „მოგზაურის“ ფირმით და ისიც
 მხოლოდ 1905 წ. და ამით განა სინდისიერ ადამი-
 ანს შეუძლია თქვას როსტომაშვილი ს. დ.-იაო? მა-
 რა როსტომაშვილის მოღვაწეობას ხომ თავიდანვე
 ყველა ებრძოდა. როცა როსტომაშვილი „მოგზა-
 ური“ დააარსა ყველა ქართული გაზეთები კრიქაში
 ჩაუდგენ და „გასაქანი არ მისცეს“. ერთად ერთი
 კაცი, ბანი ტ. ართმელაძე, რომელიც ეხლა ჩაეწერა
 „ნიშადურელთა“ სიაში, იცავდა როსტომაშვილის. ის
 სწერდა რომ „მოგზაურის“ წარმატება-განვითარე-
 ბისთვის ხელის შეშლა ყველამ მოინდომაო.

„ასეთი სურვილით აღტურვილმა ჟურნალმა „კვალმა“
 მას თავდაპირველათვე უსურვა სიკვდილი!.. გაზ. „ნიშადურის“
 აღმა-დაღმა მოხეტიალე და მკითხველთა დამბნე-დამაზიანე-
 ბელი ორგანო უწოდა და „ცნობის ფურცელმა“ ხომ სულ
 ქვეყნის მოღალატეთ გამოიყვანა და გამოეყვანა!“


შემდეგ ტ. ართმელაძე ამბობს, რომ ასეთი ათ-
 ვალისწინება „მოგზაურის“ და მისი ხელმძღვანე-
 ლის როსტომაშვილის იმის მომასწავებელია, რომ
 „მაშინდელი ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა ზნეობრივ-გო-
 ნებრივ მხრით დაცემული და გათასხირებული ყო-
 ფილა“ ბ. ტ. ართმელაძე ყველაზე მეტათ ასეთ
 მოქმედებაში „კვალს“ უსაყვედურებს. ის სწერს:

„... კარგი, სხვა გაზეთებს თუ გინდ თავი დაგანებოთ,
 მაგრამ ამ ვითომც და მშრომელი ხალხის დამცველი „კვალი“
 რაღათ შეებრძოლა ჟურნალ „მოგზაურის“!!! უეჭველია, იმი-
 ტომ, რომ „მოგზაური“ ძირიდან შეუდგა ხეზე შეტკბუნას (ას-
 ყოას) და „კვალი“ კი ერთი შეკვინტრისებით ლამოზდა კე-

ავტორი დანარჩენ გაზეთებსაც იმას უსაყვე-
დურებს, რომ იმათაც რომ შეეგონათ, თუ რა სარგე-
ბლობას მოუტანდა ხალხს საქმის „ძირიდან“ დაწყე-
ბა, შეეცდებოდნენ და „მოგზაურის“ ხალხში გავრ-
ცელებას ხელს შეუწყობდნენო. გაზეთის გავრცელებ-
ის პრაქტიკულ საშვალეობათ ბ. ართმელაძეს შემდეგი
მაგალითი მოყავდა, რომლითაც მისი აზრით, თითე-
ული ქართული გაზეთი თავისთვის სარგებლობდა,
მარა „მოგზაურის“ გავრცელებას ასეთი საშვალე-
ობით არ ეხმარებოდა ის სწერს:

„ ვინც ბაზრობას (ბაზარში ვაჭრობას დანიშნულ დღეს)
კი დასწრებია ოდესმე, იმას უმეველათ მეწვრილმანეებისაგან
ასეთი მოწოდებაც განაგონი ექნება: იაფი, და კარგი, იაფი და
კარგი, ფა, ფა, ფა, ფა,!!“ *

როგორც ხედავთ, როსტომაშვილის მოღვაწე-
ობას თავიდანვე ყველა ებრძოდა გარდა ბ. ტ. ართმე-
ლაძისა. აქედან ცხადია, თუ რა საფუძველი აქვს ამ
„ნიშნადურულ“ „აღმოჩენას“, და ნათლათაა გარკვეუ-
ლი ის, თუ ვინ შეეცადა შეეწყობა ხელი იმისთვის,
რომ როსტომაშვილმა „ფაფა“ შექაპა ხალხის სასამ-
სახუროთ საქმის „ძირიდან“ დაწყებით.



სოფლის ცხოვრებიდან.

III

აი გლახუნა ეზოხსთან არის...
კიდევ ცოტა და სსხლში იქნება:
გულს გაუხარებს დამშეულ ცოლშიღს,
თან დასასვენათ ჩრდილში მიჯდება...

მაგრამ რადაც არ ექაშნიკა:
თითქოს მოესმა უურს ხმაურობა...
კიდევ წამი და თვალ-წინ დაუდგა
დანაწიოკი იქაურობა...

ორი სტრაჟნიკი სიამოფნებით
ედიმებიან გლახუნას ცოლსა,
ის-კი; სსწუალი, ტირილით უცქერს,
როგორ ართმევენ ავეჯს, სსწოლს...

წვრილი შვილები გარს ეხვევიან,
ტირიან შიშით დედასთან ერთად...

* ყველა ის ამონაწერი ი, რომელიც აქ მოვიყვანეთ ბ.
ართმელაძის აზრის გამოსახატავათ ამოღებულია მისი წიგნი-
დან—ბრძოლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში შეპარულ
შეცდომა-ნაკულუღეანებებთან (ცოტ-ცოტა რამ ზოგიერთ რა-
მეებზე). თფილისი, 1904 წ.

მამასხლისა სტრაჟნიკებითურთ
მოგლინებიათ ბატონათ, დმერთად..

დანა დაქსო გლახუნას გულში,
თითქოს დარეტდა ამის მსახველი,
ცეცხლებერ აენთო, გააფრთდა კაცი
ვერ დაიმაგრა ბოღმა, სსღველი..

„ღმერთი არა გწამთ, თქვე ჯაღათებო!“
შეუვირა უცებ მან ცეცხლის ფრქვევით,
„შეგვიბრაღენით მშიერი სსღხნი,
სისხლის მწოვლებო ვწუღებით, ვიქცევით...“

ბარემ გაგვიდეთ, თან წაგვიყვანეთ,
ან სუღ დაგვონცეთ, ეს და გაკლათ...
ისეღაც მწარე წუთი სოფელი
აკი გვიქციეთ ტანჯვის გაღათ!“

უცებ მოიძრო თქვილით ტომარი,
„სტრაჟნიკ“ მიეჭრა თმებ აქოხრილი,
დასტაცა ხელი ოჯახის ნავთებს,
საკრატუნს სიბრახით კბილა...

მარა... მივარდნენ ვისიღ ჯერ იყო,
ცემა და ტუეებით ზსუსნი გასცეს...
სსხე ნასისხლი, შირ ჩაღვეილი
ოჯახის ბურჯი მეგდარივით დასცეს...

ატუღა წოვილი გულ შემზარავი,
გლახუნას ეზო გაჯოჯოხეთდა:
მისი იმედით ქვეუხად მცხორებო
შირს იკარავდა, მიწას იხეთქდა...


აკერ ბავშვები ცას გაჭკივიანს,
ცრემლით ერწეება მათ დედას სსხე,
არ ასსოვთ თავი მშიერს და შიშულებს,
არ ასსოვთ სსწულებს სსხვა სივარჯლახე...

მაგრამ ისინი რას დაგიღვეუნ,
სცემენ სიცილით ოჯახის შრჩენელს,
ხან მთრახებით, ხან კი წიხლებით,
ხან კიდევ წვერში წააღებენ ხელს...


მათ უურს არ ესმის უზარო გლოვა,
ვერ აღბრბს მათ გულს ცრემლი, კივილი,
შეუბრალებელთ არა რათ უღირსთ
სხვისი წამება, სსხვისი ტირილი...

ესღა გლახუნა ბნელ ციხეშია
და მალე წავა ცივი ქვეუხისკენ...
ცოლშიღის ტანჯვას, ბორკილის რახხუნს
მალე გაატანს ცივ ქარს ზეცისკენ...

ქარც ერთგულათ არეს მოთესავსქ
გლახუნას ამბით გულ შესზარით
და ვინემ მომკის ის ამ დანათეს
კვლავ ისისინებს გლოვით და ზარით...
გ. მალაქაშვილი.



ქართული მოღვაწეები.



თავადი ნიკოლოზ თავდგირიძე.

წინასიტყვაობა. გურიის ბრწყინვალე წოდება. თა შორის, თავდგირიძეთა გვარს, თუ პირველი არა, უწარჩინებულესი ადგილი მაინც უჭირავს. გურიის მბრძანებლებს, გურიელებს, მათთან მუდამ ნათესაურ-მოყვრული კავშირი ჰქონდათ. ერთი სიტყვით, გურიის სამთავროში თავად თავდგირიძეთ ისეთივე ადგილი ექრათ, როგორც იუბიტერს ჩვენი მზის ოჯახობაში. მართალია, გურიის წარჩინებულთა გვარები არ აკლია, მარა ასეთი განსაკუთრებული სახელი თავდგირიძეებმა სამართლიანათ დაიმსახურეს რაინდული გაბედულებითა და შლეგობით.

წინაგული წლები ნიკო თავდგირიძისა. ერთს ზემო აღნიშნულ ოჯახთაგანში გასული საუკუნის მესამეოცდაათე წლებში დაიბადა დღეს ყველასაგან ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო. მან ჩინებულათ და სწრაფათ „დაასრულა“ ჯერ ქუთაისის გიმნაზია და შემდეგ ადვისის უნივერსიტეტი იურიდიულ ფაკულტეტზე და ახალგაზრდა, სწავლა-ცოდნით, ხოლო უმთავრესათ ფიზიკური ძალით აღქურველი კაბუკი, ცის მანანსავით მოევილინა ჩვენი დაცემული სამშობლოს გორიზონტს.

„თავაში რეცხლა ან დაიძაღვან“ ეს ბრძნული

ანდაზა ქართველი ხალხისა, საესებით გაამართლა ახალგაზრდა ნიკომ და მასში, სამშობლოში დაბრუნებისათანავე, იჩინა თავი საზოგადო საქმეთადმი მისწრაფებამ. როგორც გამოჩენილი ორატორი და ღრმა მოაზრე კაცი, ის არჩეული იქმნა ისეთ საპატიო და თანაც საპასუხის-მგებლო თანამდებობაზე, როგორც არის გურიის სატახტო ქალაქის, ოზურგეთის, „თაობა“

ზრდეტების ხანა. ორატორობასთან ერთად, ახალგაზრდა „თავს“ აღმოაჩინა აგრეთვე საუცხოვო ნიჭი საოცნებო გეგმათა მთხველობისა. დაულალავი მეტყველი და დაუმრეტელი მეგეკე ათას გვარ პლანებს აწყობდა გურიისა და კერძოთ მისდამო რწმუნებულ ოზურგეთის საკეილდღეთ. მან აღძრა პირველად ოზურგეთში რკინის გზის გაყვანის ამბავი, მანვე გაამშენიერა და მოკირწყლა ქალაქის უმთავრესი ქუჩები, მან დაადგინა სამი ფანარი მთავარ ადგილებში ქალაქის გასანათებლათ და სხვა მრავალი.

ადღიშები ქალაქის მეურნეობაში. „ბოროტენები“ მოგესხენებათ ყველგან აკრიტიკებენ დიდებულ მოღვაწეებს და ახალგაზრდა თავსაც „ცილი დასწამეს“, თითქო ქალაქის ბიუჯეტში ცოტა იაღლიში მოსვლოდეს. მართალია, ბ. ფ. მახარაძემ ნათლათ დაუმტყიცა ასეთი უთაურობა, მაგრამ ყველამ, ვინც კი კარგათ იცნობდა ბ-ნ ნიკოს, ეს შემთხვევა მის ახალგაზრდობასა და რეგენობას მიაწერეს.

ნიკო, რეგენც სსხაღსე გმირი. ამ ხანებში ოზურ. თავის ამბავი კიდიო კიდემდე მოედვა მთელ გურიას, დაწყებული ჩოლოქის პირიდან, ვიდრე საჯავახოს საპარასკეომდე. ზოგი იცნობდა მას, როგორც გამოჩენილ ორატორს, ზოგი როგორც გამოჩენილ „იურიდიულ“ პირს, ხოლო უმეტესობა, როგორც ჩინებულ მესუფრესა, გატაცებულ ტოლუმბაშსა და თავდაუქერელ დონ-ჟუანსა. ეს მრავალმხრივი და მიმზიდველი თვისებები, მასთან საუცხოვო ახონება და მქვერ-მეტყველება, ერთიანათ ხილადღენ მნახველებს და მიზეზიც ეს იყო, რომ ამ ხანებში უწოდესმას მეტ სახელად „პაწა ნიკო.“

სულ მალე, ხალხში მრავლად გავრცელდა მის შესახებ დაწერილი კუპლეტები და ასე წარმოიდგინეთ, პოემებიც-კი. უმთავრესი მათ შორის „სოლომონ ნიკოლოზიანი“ დღესაც არ არის ინტერეს მოკლებული

განეშე დგაწლი ნიკოლოზისა. „პაწა ნიკოს“ დარქმევით, რასაკვირველია, არ უნდოდათ ოზურგეთის თავის დამცირება, არამედ ის მიამსგავსეს ფოთის დიდ თავს ნიკო ნიკოლძეს, თუმცა მათ შორის სენიობის მეტი არაფერი მსგავსება იყო.


„პაწა ნიკო“ ენერ-
გიულ მონაწილეობას
იღებდა აგრეთვე სხვა
საქმეებშიაც. მაგალი-
თად, სოლომონ ჭეი-
შვილთან ერთად „წამო-
აყენეს“ ფეხზე ცნობი-
ლი ამხანაგობა „შვამა-
ვალი“, დააარსეს საქს-
ოვი ფაბრიკები და სხვ.
ყოველ საზოგადოებაში
და ყველა კრებაზე „პა-
წა ნიკო“ უცილობელი
თავმჯდომარე იყო და
ამისათვის დაერქვა „ნა-
ფიცი ორატორ თავმჯ-
დომარე“ კრებებისა. ის
იმდენათ გაეჩვია ამსაქ-
მეს, რომ ბოლოს აურ-
ჩველადაც ჯდებოდა
თავმჯდომარის ადგილ-
ზე, რასაკვირველია, თუ
კი სოლომონი ეტყო-
და. ამის შესახებ ხალ-
ხურილექსი ამბობს:

„ნიკოლოზ
ყარამანის ძეს
ჩვენში არა ყავს სწორია,
გურია-სამეგრელოს
ნაფიცი ორატორია.
ერთსა მართალსა რო იტყვის
ორი უთუოდ ქორია,
თუ დაიყინა რამ საქმე
ახალციხელი ჯორია,
ურტიცხვი „რეჩით“ ამტკიცებს
სამი და სამი ორია.

და მართლაც ჟინიანობა განსაკუთრებულ თვი-
სებას შეადგენს ჩვენი მოღვაწისას. თუ მან გულში
რაიმე ამოიკვეთა, არ შეასრულოს არ შეიძლება,
როგორც მაგალითად ოზურგეთის რკინის გზა.

სახუმის თაზაბა. როდესაც ოზურგეთის სა-
ქმე „მკვიდრ“ ნიადაგზე დააყენა, ნიკო ჩამოშორ-
და (თუ ჩამოაშორეს) მას, მაგრამ რადგანაც „უთაე-
ოთ“ ცხოვრება მას არას გზით არ შეუძლია, ამი-
ტომ დიწყო ადგილის ძებნა. როგორც ამბობენ,
თფილისსა და ბაქოში არ ინება თავობა, რადგან
ეს ქალაქები ასე თუ ისე მოწესრიგებულია და სა-
ქმე აღარაფერი ექნებოდა. ამისათვის გამოეკა თა-
ვით ქ. სოხუმს. აქ, ქართველთა და მასთან ქალა-
ქის ინტერესიც მოითხოვდა სწორეთ ისეთ საქმის კა-
ცს, ისეთ გამოცდილ თავს, როგორიც ნიკო იყო.

ჩვეულებისამებრ. ჩვეულება, ხომ მოგეხსენე-
ბათ, რჯულის უმტკიცესიაო და რკინის გზებით გა-
ტაცებულმა მოღვაწემ მსწრაფლ შეაერთა ფოთის



ვარჯიშობა!

„სამ იენისის“ დებუტატებს
იარაღზე უძვეთ ხელი
და თუ ბუზი აუფრინეთ
იმ წამში მზათ არის „დველი“

შტო კავკავის გზასთან, რასაკვირველია, მხოლოდ
პროექტით. ამასთანავე მან განიზრახა სოხუმის სხვა-
ფრივ გაუქმობებსაც და შეუდგა პროექტების
თხზვას. ზღვის გრილი ჰაეა განსაკუთრებულ ოც-
ნების მოყვარეთა ხდის ადამიანა, თუმცა ნიკო ისედაც
ძლიერი ოცნების პატრონი თავის პატრონი „თავი“
იყო.

დასკვნა. ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგი,
როგორც მოგეხსენებთ, სოხუმშიაც დაახლოებით
ისეთი გამოდგა, როგორც ოზურგეთში. სახელ-
დობრ: ორი-სამი წლის წინეთ უნიკოსთავო, მაგრამ
მკვიდრ ფეხებზე მდგომ სოხუმს, თავი ფრად წარ-
ჩინებული აზია, მაგრამ ფეხები გამოშლია და ვა-
ლების მორევში დაცურავს:*)

თუ განგებამ დააცალა, ნიკო ჯერ ახალგარდა
კაცია და იმედი უნდა ვიქონიოთ, არა ერთსა და
ორ ქალაქს ააშენებს.

ისტორიკოსი.

*) თუ გავით „ზაკავაზის“ თუ დეუჯერებთ ის თუ-
რმე ვასაოცარი იურიდიულ-რანდულ თავგამოდებით იცავდა
ქალაქის კასას „უმუშევართა“ იერიშებისაგან.

იმის შენიშვნა.

და შენი თვლით იხილავ
ლოთობა — გაღათობასა.

ნოქრებმაც, ძმაო, „საღმრ „ოი“
იგემეს კარგა რიგზეო,
ორმოცდაათი ქანქარი
გასცვალეს ღვინის ტკვეო.

სხვა არაფერზე ფიქრობენ
ეს უგუნური მონები,
თვითონაც არა იციან
არც სჯერათ განაგონები.

რიჟა.

ლენჩუმი. ლენჩუმის სვავ-ყორნები საზარელი
ხმით დასჩხავიან ჩვენ ისედაც გაძალღებულ ცხოვ-
რებას. თავისი შხამიანი ენა ერთობის დღეებს აქეთ
არ დაუწყნარებია მათ, მაგრამ, როგორც ამბობენ,
თავისი ბინძური ხელების განბანას ახლა ადგილობ-
რივ ებრაელთა სისხლით აპირობენ. ეს რამდენი
ხანია:

ავთანდილ გაინადირა
ლენჩუმი მალა-მთიანი
დანიელ უტარიელებს
თოფ-დამბაჩ-კაპარქიანი.
გლებ-კაცებს „უქადავენ“,
სულმდაბალ ბოროტ ზნიანი,
რომ ებრაელეს დაესხენ
დამართონ დიდი ზიანი.

მაგრამ ლენჩუმის გლებ-კაცობა არა გვგონია
ისე დაქვეითდეს ზნეობრივად, რომ ადგილობრივ
კრწეველების რაზმში ჩაერიცხონ და წარუბოცე-
ლი ჩირქი მოსცხონ თავიანთ სახელს. დიახ, ლენ-
ჩუმის გლებ-კაცობა ჯეროვან პასუხს გასცემს თავ-
აშვებულ ყორნებს, რომელნიც ებრაელებზე გავრ-
ცელებული ათასგვარი ქორებით, საკუთარი ბნელი
მიზნისაკენ მიისწრაფიან.

შენც მხარი მოგვე, ძმა ეშმაკო!
რომ ამ ყვავ-ყორნებს მოვკვეცოთ ფრთები
და სამუდამოთ დავუსამაროთ
შავ-ბნელი აზრი მათ გულს ნადები.

დიახ, უთხარ, ძმაო გლებებს, რომ ებრაელე-
ბის სისხლით არ დაიწერონ თავის პატიოსან შუბ-
ლზე „პროგრამჩიკის“ და მძარცველის სახელი.
უთხარ, რომ ხალხის მოღალატეებს არა სძინავთ
და დღიან ღამიანა სთესენ შურს ხალხთა შორის,
რომ საერთო უბედურებაზე აღმოაცენონ თავისი
ბედნიერება. ვააგებინე, რომ დღევანდელი მომენ-
ტი ხელს უწყობს მათ ჯოჯოხეთურ განზრახვას,
რომ უბედურებაში გამოცდილი ლენჩუმელი გლებ-
კაცობა ვალდებულია მედგრათ დაუხვდეს რეაქციის
სოროებიდან გამომდგრალ მტრობის მოციქულთ და
თავისი უანგარიშო მოქმედებით არ გახდენ ხალხის
დაუძინებელ მტერთა ბრმა იარაღათ.

ილ-კო. მ.

ჯინაში. ძმაო ეშმაკო! თუ ცოტაც არის და
ჩვენი სოფლისათვის გული შეგტკივა, მოახერხე
„... მთელი სიკრწინი“ ჩვენს

ნიკო ჩხეიძეს მოხვდეს. დიდი „ღვაწლი“ მიუძღვის
საზოგადოების წინაშე და თუ „ლუკმა გავარდეს
ჯამში მაინც ჩავარდეს“. შენ არ შეგაწუხებდით ამ
საქმეზე, მარა ნიკოს კარგა ცნობილი კონკურენ-
ტი ყავს ამ „შტატზე“ სახელდობრ მ-კო ნიჟარაძე.
ორივე უმთავრესათ „პრაქტიკული მოღვაწეები“
არიან და არჩევნების დროს შენ პროტექციას დიდი
მნიშვნელობა ექნება. ნუ დავდუბავ, შენი ჭირიმე,
ასე წარმოიდგინე, ჯერ ჯერობით მარტო საექვო
მოლოდინშია და ხალხს ფიანდაზათ ეგება.

ახირებულნი.

სამურზაყანო.

ბოდიშს ვიხდი, ეშმაკოჯან,
პასუხი ვერ მოგეც ხელად,
ჩამურზაყანო ვერ ვნახე
იქურ გმირთ ასაწერად.
ხელს მიშლიდენ: დანგრეული
ხიდები და მასთან გზები,
არა ნაკლებ მაშინებდენ
ურიცხვი ავაზაკები.
მართალია, ვისიც ჯერ-არს
იქაც არის, და გულში ზის,
მაგრამ ავაზაკთა ნაცვლად
მშობლებს იქერს და იმას სჯის.
თავადნი და აზნაურნი
ძველებურათ ყოყობენ,
საქმით არას აკეთებენ —
უბრალოდ კი ბევრსა ბჭობენ.
პეტრე ანჩაბაძეს მკითხავ?
მან იშოვა უკვე ჯვარი
რადგან ყველა სასჯელს მისცა
ვინც კი იყო საშიშარი.
თუმცა ავტონომისტებსაც
ძველებურათ აღარ სწყალობს,
სოციალიზმ შენაქუცო
დღეს ლიბერალ — მაჩანჩალობს.
ჩვენი ზურაბ ანჩაბაძეც
პეტრეს მარჯვენა ხელია
ჯვარი მანაც მოიპოვა,
რადგან ბარლების მხსნელია.
ემუხვარი მელიტონიც
კარგად არის, არა უშავს,
ოქუმი რომ გააუქმეს
იმისთვის სწუხს, მისთვის ფუშავს.
ნიკო ჩხოტუას ნუ მკითხავ
პირში გამოავლეს ჩალა,
თუმც კრამოლის აღსაგველად
იმანც მოიხმარა ძალა.
გული უწუხს სევდისაგან,
რომ მასაც არ მისცეს ჯვარი
და მიმოდის ნაღვლიანად
არც ცოცხალი, აღარც მკვდარი.

ვასიკო ციმბირელი.

აკეთი. (გურია) გაგონილა მთელი საზოგა-
დოების ასე მივიწყება? ერთი კი უნდა მოგვცდნოდ



თფილისიდან

ძმაო ეშმაკ! გვევდრები
 მომისმინე სიტყვა მცირე,
 იარმუკისკენც მოგვხედე
 ხელთ მათრახი დაიჭირე.
 ჯერ ყასბებსა გარდახედე
 თითო ყველას გადუჭირე,
 იმათ შორის ჯაფარიძეს
 ორით მეტი მოუხშირე.

რადგანაცა მათ ნიხრისა
 არა სწამთ და არცა სჯერათ,
 განუწყვეტილგ უკურთხებენ
 ვინც მათ ნიხრი დაუწერათ;
 ჯაფარიძეს ორით მეტი
 თითო დაკვრა სამ-სამ წვერად,
 გაფიცვის დროს კამეჩისას
 ძვლებსა ჰყიდდა ხორცის ფერად.

შემდეგ ერთიც გადუშვილე
 მის პირდაპირ ივანესა,
 ძველის ძველად ნაყასბარსა
 კართოფლით მოვაჭირესა.
 წვერ უღვაშით გათეთრებულს
 გურულუბის შემრცხვენელსა
 ხუთი ქალის მამა არის
 არც ერთს იცნობს იგი დღესა.

თითონ იცის.

ძმაო ეშმაკ! გვევდრებით
 ერთად სცენის მოყვარენი,
 ჩვენც მოგვხედე, რადგან ხელავ
 არ გვადგია კარგი დღენი

ვეწვალებით ხალხისათვის
 რითაც შეგვიძლია შეველა,
 მაგრამ ამ ქურდ-ბაცაცებმა
 ლამის არი დაგვანელა.

გვპარავენ ხან ტანისამოსს,
 ხან სხვა და სხვა ნივთეულებს:

ნეტა რატომ არ სცხვენიათ
 უსინდისოს და წყეულებს?

ერთზე კი გვაქვს ცოტა ეჭვი:
 შავ-შავია და პირ-ხმელი
 მუდამ მთვრალი დაეთრევა
 ღვინით კისერ ჩანასველი.

ახლა შენ გთხოვთ მოგვინახო
 ნივთთა ჩვენთა წამპარავი
 და მათრახის კულის-წვერით
 შეუხურო ზურგზე ტყავი.

მ. ლელაშვილი.

პროვინციეზიდან.

ჭიათურა. „ძიძგი, ძიძგი მამალო
 შენ იცი და მაგანო“.

ეს ამბავი გამახსენდა, როცა შემთხვევით აქა-
 ურ მოძღვარ ვაქართა კრებას დავესწარ, ძმაო ეშ-
 მაკო. დღიურ წესრიგში „ეკლესიის აშენების სა-
 კიოზი“ შედიოდა. ჩვენში ხორციელი და სულიერი
 მოვაჭრენი ძლიერ გაცხარებით მსჯელობდნენ, მაგ-
 რამ უნდა გენახა კრების ბოლო, როცა ადგილზე
 შეაქნა დავა და როცა ხუცებმა კინალამ დაპუტეს
 ერთმანეთი. რა თქმა უნდა, საუკეთესო დროა სუ-
 ლის საქმეზე საზრუნავთ, რადგან არავინ იცის
 როდის ამოხდება შიშხილით ტანჯული სული.

ქო პატონი

ხაშური. სარგეზოთ ჩამოდი
 ეშმაკო გენაცვალეო,
 —საქმე ბევრია ძმობილო,
 შენ ოლონდ მოიცალეო!
 ვაგონნი ცეხი იხილე,
 მუშები ინახულეო,
 არ დაგავიწყდეს კუდინი
 მათრახიც მოიძულეო!

გაბრიელ ტაბატაძესა
 განზე გაჰკარი ნელაო,
 გოცირიძ-სალარიძესა
 ზურგისა ასაწველაო.

თუ დაგპატიჟონ „საღმრთოზე“,
 ნუ გააწბილებ ძმობასა

ფეხი, ძმაო ეშმაკო, რომ გენახა როგორ ღვებდა და იშლება ჩვენი სანაქებო ორ-კლასიანი სკოლის შენობა, როგორ უპატრონოთ დარჩა ჩვენი სამკითხველო, როგორ დაიტაცეს სიმწრით მოგროვილი წიგნები, როგორი გახურებული კარტის თამაშია ჩვენს დუქნებზე, როგორ ატყობინებენ ახლად შეძენილ არღანს მოხეტიალ მოქიფე რაინდები, როგორი თაყვანის მცემელია ყოველად სახიერი ბახუსისა ჩვენი მასწავლებელი არტემი.

ღიას, უნდა გენახა ყველა ეს საკუთარი თვალებით, თორემ ვიცი, ჩემგან გადაქარბებული გეჩვენება. მართალია, ჯერაც არ ეგვიანება შენს ჩამოფრენას, ვინაიდან არც ერთ ზემო აღნიშნული აზრის მოგვარებას ჯერ-ჯერობით არავინ არა ფიქრობს, მაგრამ ხომ მოგესხენება:

„მოსვლა სჯობს მომავალისა
არ დავცონება ხანისა.“

ეშმაკის მოციქული.

რაჭა. ეშმაკო! ავთმყოფები
გთხოვენ (კაცნიც და ქალნიცა),
რაკისკენ ჩამოიარო
ნახო ე ჩვენი „ბალნიცა“.
მოინახულე ფერშალი
პეტრიაშვილის გვარსა,
(სახელი ვადამავიწყდა
ან რა საჭირო არისა?)
ვყრივართ აქ მშიერ-მწყურვალნი
ვერ მივხვდით რისი ბრალია...
(ზედ-მეტი არშიყობისგან
გგონებ რო აღარ სცალია).
თითონ მიხვდები ძმობილო
თუ კი ყოფილხარ ავათა
რა იმედია, ექიმი
რომ მოდის სანახავათა.
ჩვენ კი ხომ დღითი დღეობით
ვაგდივართ უთვალ-ყუროთა.
და გთხოვთ ამისთვის ჩვენ ფერშალს
გვერდები შეუხუროთა.

უკმაკური.

საკოჭავი. ძმაო ეშმაკო! ბაკურიანის გზაზე რამდენი ხანია გაიხსნა სეზონი და გთხოვთ მცირეოდენი ყურადღება ჩვენკენაც მოაპყრათ. სად. საკოჭავში რომ უფროსი მუშა მიხლო დაგხვდება, ერთი ლაზათიანათ შეკოქე შენი მათრახის კუღით. რას მერჩიო არ გკიახავს, რადგან თითონაც კარგათ იცის რა ღვაწლი მიუძღვის.

რაჟდენ კვარუქიძეს ბაკურიანში ნახავ და იმედია არც იმას დაგვიტოვებ უყურადღებოთ. რაც „ისეთები“ მიუწერ-მოუწერია მუშა ფარნაოხის დათხოვის შესახებ სულ თავის კორტონზე გადაახიე. კივილა.

ბათუმი. ჩვენი აღარც სმა სმასა გავს,
აღარც თუ ჰამა ჰამასა
და გთხოვთ, ძმობილო ეშმაკო,

ან კი ბინადარს ციხისას
განა ვინ დაუყვავებსა,
მაგრამ ჩვენ გვარი ცხოვრება
ვის მზეს არ გააშავებსა.
რწყილნი და ბუზნი სიქარბით
სჩვევია ზღვისა ჰავასა,
მაგრამ მადლობა არ ეთქმის
არც ექიმ ელიავასა.

საქმეს გულ-გრილათ ექცევა
რადგან „არ აღრჩობს ფონია“,
მაგრამ ტუსაღთა დაჩაგვრა
არ არის მოსაწონია.

პატარა მუშა.

სურამი. რამ დავავიწყა სურამი
ეშმაკო ჩემო ბიძია,
აღბათ ქალაქში ჯერდროით
სიცხემ ვერ ჩამოგიწია.

როცა ძლიერ ჩამოცხეს მოგვაშურე, მაგრამ „პარკში“ ისე ნუ შეხვალ თუ ორი სამი ბილეთის ფასი ჯიბეში არა გაქვს. მოგადგებიან ახალგაზრდა ბარიშნები თეატრის ბილეთებით და ბიჭი ხარ „ატკაზი“ ეტყვი. მერმე მეთეატრეებიც ცოტას მოიემ-მაკებენ და ამ საქმისთვის განგებ უფრო ლამაზებს არჩევენ.

იციან, ძმაო, სისუსტე
ადამიანთა გულისა
და შენ გთხოვთ შეგვიომისქნა
ძალათ ამკრებნი ფულისა.

გზავრი.

ასკანა. (გურია). ამ რამდენიმე დღის წინეთ შვა ღამეზედ, როდესაც მღვდელი ექიმი ივანე ნათლოზიდან ბრუნდებოდა თავისი მეღავითით, გზაზე ზარბაზანი ესროლეს*) შეშინებულმა სულიერმა მამამ ეკლესიას მიაშურა და რეკა ასტეხა. რეკაზედ მარელი ხალხი შეგროვდა და ასტყდა ერთი ალიაქოთი. როგორც ადგილობრივ გამოძიებამ გამოარკვია, ზარბაზანის სროლა სულიერ მამას მოსჩვენებია, რასაც მეღავითენც ამტკიცებდა. მოულოდნელმა ზარის რეკამ ხალხი საშინლათ დააფრთხო. ორი ქალი და ორი კაცი ქუაზე შეცდა, რომელსაც მღვდელის და პრიჩენიკის ხარჯზე აგზავნიან საგიეეთში. თითონ მღვდელს ნერვები აეშალა და რაპორტების წერას მოუწმირა. განზრახულია იმ ბაყაყის დაჯარბება, რომელმაც სულიერი მამა დაგვიფრთხო. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ მათი კურთხევის დამამშვიდებელი საშვალება.

— ასკანაში შესდგა დრამატული დასი სევასტი მთისპირელისა და ვანო გვაპრათელის მეთაურობით. რეპეტიციები ყოველ დღე და ღამეა. პირველათ წარმოადგენენ „შეშლილის წერილებს“. ჯერ-ჯერობით ორხელ მოხდა ჩხუბი. ერთმა ხელი მოიტე-

*) ასეთი მაგალითები ასკანაში ხშირია, საჭიროა ამ თავხედობას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს.

ხა, ორს ყურის ბარაბანი გაუსქდა. საჭიროა დახმარება გთხოვ გამოგვიგზავნოთ 11 წვეთი სპერმაკულინი მატყულარა არტისტებისათვის.

ჩვენში შესდგა ნარდისტ კარტისტა წრე, რომლებიც დღე და ღამ თამაშობენ. წვერებათ მხოლოდ ინტელიგენტებია ჯერ. მუშებს არ ღებულობენ მაინცა და მაინც. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ერთი მოძველებული მათრახი.

ციცინათელა.



ერთობის სალსი.

(იხ. „უშხ. მათ.“ № 37)

(გაგრძელება)

მოქმედება მეორე

(სტენა წარმოადგენს ჰატარა ოთახს, სადაც რედაქციის კანტარას მოთავსებული. ოთახს ერთი კარი და სარკმელი აქვს. მარჯვნივ მაგიდასთან სხედან სპირდონი სანდრო და ივანე და მუშაობენ)

გამოსვლა ჰირველი

სპირიდონ, სანდრო და ივანე.

სპირ. (ახალგაზრდა, ზოგბა ტანის, ძლიან დინჯი კატა. წერას თავს დაანებებს და ღაზათიანთ ამოქნარებს სანდროს და ივანეს) აბა, ბიჭებო, იმუშავეთ იმუშავეთ ჰო! ხომ იცით, რომ ხვალ ოცი რიცხვა და ჯამაგირებს ჩაიხზრიალკბთ ჯიბეში. აი ჯამაგირების სიას უკვე ვაღებ. (ივანეს) შენ მგონი აღარაფერი გერგება?

ივან. (ახალგაზრდა, უწვერ-უღვაშო, მუდამ იცინის). მუშაობას თავს დაანებებს გაჯავრებით) კარგი ერთი თუ ღმერთი გწავს, მასხარობას თავი დაანებე. თქვენ, რომ ჯამაგირებს იძლევით და თქვენ რომ კაცები ხართ ის კი კმარა. როდის იყო, რომ შენ და ტიტკო ჯამაგირებს იძლეოდით?

სპირ. (წვენით) თითქმის ნახევარი უკვე წაღებული გაქვს და კიდევ საყვედურს ამბობ? ყველა თავის დროზე იღებთ ჩემო ძმაო, მე და ტიტკოს გარდა. ყველაზე ბოლოს ჩვენ ვიღებთ

ივანე. (წამოადგება და მივა ახლდს) აბა ერთი იანგარიშე რამდენი მიმიღია.

სპირ. (ანგარიშობს) ერთხელ ორი შაური... კიდევ ოცდა სამი კაპეიკი... კიდევ თვრამეტი კაპეიკი... კიდევ ორი აბაზი... კიდევ ერთი მანათი...

კიდევ მანათი... კიდევ ცხრა შაური... სულ... ეეე... მმმ... სამი მანათი და ოცდა თექვსმეტი კაპეიკი. სულ გერგებოდა ნახევარი თვის... ეეე... მმმ... ერთი თუმანი... დაგრჩა მისაღები ექვსი მანათი და და 64 კაპ. აქედან, ხვალ, სულ თუ არა ერთ ორ მანათს მაინც მიიღებ და მეტი რა გინდა.

ივ. (გაჯავრებით) რა ორი მანათიო? რის ორი მანათიო კაცო? თავი ხომ არ გინდათ რომ მომაკელიოთ? ხვალ, რომ მთელათ არ მომცეთ რაღაც ორი გროშია არ ვიცი რას ვიზამ. აგერ ორი თვის ოთახის ქირა არ მიმიცია და ხვალ, რომ ერთი ხუთი მანათი არ მივცე პოლიციაში წამიყვანს.

სპირ. (დინჯათ) თუ კი იქნება...

ივ. (გაჯავრებით) რას ქვია თუ კი იქნება? თქვენ სულ ასე იძახით თუ კი იქნებაო და არასოდეს კი არაფერი არ არის. (დაჯდება თავის ალაგზე)

სანდრ. (ახალგაზრდა, დაბალი, ცოტათი ელამია, თავი მდღას უჭირავს. სპირდონს) აბა ერთი მიანგარიშე მე რამდენი მერგება.

სპირ. წაღებული გაქვს რამე?

სანდ. მე რომ მკითხავ, რავე შენ არ გიწერია მაქ?

სპირ. (ანგარიშობს) ერთხელ მიგიღია, ჩემო ძმავე, შეიდი კაპეიკი, კიდევ... ორი შაური... კიდევ... შაური... კიდევ... ხუთი შაური... სულ... ეეე... მმმ... ორმოცდა შეიდი კაპეიკი. სულ გერგებოდა. ერთი თუმანი. დაგრჩა მისაღები... ეეე... მმმ... ცხრა მანათი და 53 კაპეიკი. კაი ბლომათ გერგება? ხვალ მგონია შენ ერთ სამ მანათამდე კი მოგცეთ.

სანდ. (წამოადგება და გაჯავრებით) კაცო, ღმერთი აღარ გრწამთ? რა სამი მანათიო?! ხვალ რომ სულ არ მომცეთ რაც მერგება, არ ვიცი რას ვიზამ.

სპირ. თუ კი იქნება...

სანდ. (აჯავრებს) თუ კი იქნება!.. თუ კი იქნება და არ იქნება მე არ ვიცი, ჯამაგირი მერგება და უნდა მომცეთ.

სპირ. (წვენით) მე რას მიჯავრდები, ჩემო ძმავე, მე ხომ არ ვარიგებ ფულს; თქვენ იცით და ტიტკომ.

ივ. (გაჯავრებული) ერთი იმ შენ ტიტკოს თუ არ დავაგლიჯე ის ჯამაგირით გაბურძმენილი უღვაშები ისე ქკუაზე ვერ მოვა ვინც დაუყვირებს და შეაშინებს იმას კი აძლევს ფულებს და ვინც არაფერს ეუბნება და ზრდილობიანათ ეპყრობა ის სულ დაიბრიყვა, აბა აწი ნახოს ზრდილობიანი მოპყრობა.

სანდ.—(გაჯავრებით) არა, ყველაფერს აიტანს კაცი, მარა მაგათ კმაყოფილ სახეს რომ ვუყურებ ბრაზი მომდის. მუდამ ერთი და იგივე კილო. სიმ-

სწი. (წყენით) ისე ღაპარაკობ, თითქო მართლა ფულები იყოს და არ გაძღვედით. ის ხომ არ გგონია რომ მე და ტიტოკო ვქამთ?

სანდ. (ღიმილით) შეიძლება ასეც იყოს!

სწი. (გაჯაყებით) ძალიან თავს იგდებ!

სანდ. (ხმა მძლავრად) თავსაც იგდებ და მეტსაც შვრები.

სწი. (ხმა მძლავრად გაჯაყებით) უყურეთ ერთი მაგას! მე და ტიტოკო ფულებს ვქამთ. თავის გდება ამაზე შორს წაივა?

სანდ. (აჯაყებს) „თუ კი იქნა“ „სად არის“ შენ და ტიტოკოს მხოლოდ ეს სიტყვები გაკერიათ პირზე და იმას კი არ კითხულობთ თუ ჩვენ თავზე რა ამბავია! ყოველ დღე ოთხი ათასი ვახეთი იყიდება და ფულები კი არასოდეს არ არის. თუ არ ქამთ რა ოხრობაში მიდის?

სწი. (წამოადგება და გაჯაყებული მკადასე ხელს დაჯრავს) თავს ნუ იგდებ მეთქი გეუბნები!

სანდ. (წამოადგება და ხმა მძლავრად) თავს თქვენ იგდებთ. თქვენ! (შემოდის ივანე).

ირეთელი

(შემდგომი იქნება)

დ ე ზ ე შ ე ბ ი

მვლახი. უზომო გასაჭირში ვართ ციებ-ცხელების, სინესე-მანანაქებისა და სისხლის შწოვარა კოდების გამო. დიდმა კოდამ 48 დღის თავისუფლება იშოვა და მოგვმოხდა. მოწყენილობას.

კეროსინობრფოდის გამგეს მუქარის წყრილი მოსულია. ამანაც იერში მუშებსე მიიტანა. ამაზე თქმულა: „ცხენს ვერ შეწვდა, უნატეს ამტყრეკდა“.

მემანქანე.

სამბრძლია. ადგილობრივი ზარიმანსეები მედგრათ იტავენ კვირა დღის საქმიანობას. „თუ კი ჩვენ, ხაზეუანებს, არ გვეზარება უქმის „მუშაობა“, შევირდები რაღა ზირით იუკადრისებენ“.

ოღონდაც!

ჯიშთუბა. რაც ბატონ ილარიონის

შევიქენით ჩვენ მნახეული,

მხოლოდ ერთი „სიატელსტო“

განდა მისი ტრფობით ხელო.

სალე.

მუთანისი. გადაწვეტილია: ან ქუთაისი გადაიტანონ აჭარაში, ან აჭარა გამოტანონ აქ. ფაქტურათ დღეს დღეობით ქუთაისში ნამდვილი აჭარაა.

მესხი.

იძიდავნი. საჭირთა, უადრესი

გამგებობის რევიზია,

თორემ „იაკობის წიგნში“

უეჭველი „რემიზია“.

იგივე.

მინათურა. ჩვენი დაბა შანტაქსიტუმს აიღეს. ამბობენ ერთი სიმინდით მოგატყრეთაგანი ფუთზე შვიდი გირვანქის მეტს არ უშობა „სვიდასა“.

და თუ იყოს ამის დირსი,

სტიციე კული მათრახისი.

ქო პატონი.

ჯინაიზი. ამბობენ, ჩვენი საზოგადოება, მეოცე საუკუნის შუა რიცხვებში გახდება სრულ წლოვანი, ხოლო ამ დრომდე ბ-ნი დავ. დევიე უნდა იყოს მისი აპეკუნიო. აგრეთვე ამბობენ: ცნობილი წერეთლის ალაგას საზოგადოების აპეკუნი დავითი ბ-ნი ენუქიქს ნიშნავს.

ბორჯომი. რადგანაც დუქანში მოსამსახურე ძმებთან სახსუბრათ საანგარიშო ჩათქი მოუხერხებელია, გახვით გამოუგზავნათ იავ. წყერაინფეს ერთი მათრახისი კული.

მეზობელი.

ასკანა. ქურდობა უმადლეს წერტილამდე ავიდა. გიორგი გუჯაბიძის ცოლი, რომელიც თვეზე მეტია მიაზარეს, ჯერაც არსად სჩანს. ზოგიერთ აქაურ მოკარტ-მონარდ-მონარეუკ „ინტელიგენტებს“ უმათრახისეუდობა ძლიერ საგრძნობლად დაეტყო.

ბუნუჩანი.

წერილები რედაქციის მიმართ.

პატივცემულო ეზიპო!

როგორც ისკანდერი გახვოდა, უსათუოდ გვიანხულებ მისგან წარმოღვენილ პაციენტთ, მარა სანამ დიაგნოზს დადგენდით გახვოთ მოისმინოთ: ა) რომ მე 1905 წლის დამლევიდან დღემდე, ავთმყოფობის გამო, საყვირალი კი არა, ხშირად ახლოს გასაგონი ხმაც არ შემწევს, და რომ ეს ასეა, ამას მრავალ რიცხოვანი ნაწილებ-მეკობარ-ამანაგები დამოწმებენ. ხოლო ის, თუ რათ დასტირდა ბ. ისკანდერს ეს დაცინვა, რომ ჩემ მიხრწნილ ხმას ყვირილს ეძახის—ეს მისი და მისთა თანამოაზრეთა ზნეობის საქმეა; ბ) რომ ჩემი სახლის კარი ამანაგისთვის არასოდეს დაკეტილი არ ყოფილა. რაც თავს მოვსწრებვიარ მერმეღ, იგი ღიაა ამ ავთმყოფობის დროსაც-კი, რააც კიდევ მრავალი რიცხოვანი საერთო ნაწილები დამტყიცებს. ხოლო თუ ბ. ისკანდერს ღია კარებში დაც არ ეხერხება შეგვლა, აქ ჩვენ ბრალში რათ უნდა ვიყოთ? გ) რაც შეეხება პროგრამის დარღვევას, ამაზე უნდა მოვახსენო, რომ რადგან მე არ ვიცოდი ბ. ისკანდერის კეთილი განზრახვა, ამიტომ ეს ეთქვა უნდა ჩემთვის მას და თუ არ დავეთანხმებოდი, მაშინ სხვა იყო. ხოლო თუ რატომ უკანა რიცხვით მოქმედებს ახლა? ევ-კი უბრალო გაუგებრობის ბრალია მეტი არაფერი.

ყველა ამების შემდეგ, „ის“ ეზიპო, „მე“ თუ „იმას!“ ეს შენზე მომინდია.

ავთმყოფი, (იგივე გერონტი ტუსკია).

ბ-ნი რედაქტორო, ამას წინად თქვენი გახვთის კორრესპონდენტი ალაგეთური გამოვიწვიე საქელიატორო სამართალში და მხოლოდ თქვენი გახვთის 34 ნომერში იგივე კორრესპონდენტი თვალს მიხვევს და სწერს, როდის იყო, რომ თქვენ გაგლანძღეთო, ამიტომ იძულებული ვარ მიფუთითო ამ ვაუბატონს, რომ ეს იყო „ეზიპის მათრახი“ № 37.

შილით სული, რომ გხვდებოდეს და პურის ფული მოსახოვო ტიტკოს, მუდამ ერთ გვარათ გაიღრიჯება და გეუბნება (აჯაფრებს) სად არის... თუ კი იქნება... მიმართავ სპირიდონს და ისიც იმ გვარათ ერთს და იმავეს გაიძახის... თუ კი იქნება, იმ დღეს პურის ფული არ მქონდა, მივმართე ტიტკოს სიმშილით მოკვდები მეთქი. მარა რა მიპასუხა? გაიღრიჯა ყველის ვაჭარივით და მიხრა (იფანეს). აბა გამოიცანი რას მეტყუა?

ივანე.—ამას რა დიდი გამოცნობა უნდა. რასაკვირველია გეტყოდა „თუ კი იქნება, ან სად არის“-ო.

სანდ.—(გაჯაფრებით) აბა ერთი მიხბარი ღვთის გულისათვის „როდის იქნება, როდის?“ ნუ თუ სულ მუდამ ასე უნდა იძახოთ?

ივ.—(სიცილით) ჩვენი სპირიდონი და ტიტკო ისე შეეჩვიენ ამ სიტყვებს, რომ მილიონებიც რომ დაგვირჩეს რედაქციაში მაინც იტყვიან „თუ კი იქნებაო“.

სანი.—(წყენით) კაცო, ისე ლაპარაკობთ, თითქო მართლა ფულები იყოს და მე გიქერდეთ. თქვენც კარგათ ხედავთ, რომ-გაზეთი ვერ ფარავს ხარჯს. თქვენ კიდევ ცოტ-ცოტას ღებულობთ და თანამშრომლებს ორ ორი თვის ჯამაგირები არ მიუღიათ. როგორც თქვენ გინდათ ქამა-სმა ისე უნდათ იმათაც.

ივანე.—(გაჯაფრებით) იმათ რა უჭირთ თუ აქ ვერ მიიღებენ დროზე სხვა სახსარიც აქვთ სხვაგანაც იშოვნიან ჩვენ კი შევყურებთ ამ ორიოდ გროშს და სხვა არაფერი საუბრება გვაქვს.

სანდ.—კაცო, თქვე ოჯახ დაქცეულვით, სხვას აქვს ვიოდი, ახალ ჯვარდაწერილი ცოლი მიკვდება სიმშილით. ორი დღეა ლოგინიდან აღარ ამდგარა სძინავს და სძინავს. მეშინია ძილში არ მომიკვდეს. ერთხელ ძლივს ვიშოვნე და რომ მოკვდეს მერე ხომ დავრჩი უტოლოო? ვილა მომცემს?—ხვალ რომ სრულათ არ მომცეთ ჯამაგირი აღარ ვიმუშავებ და ის იქნება

ივ.—(სიცილით) რაეა, ასოთ ამწყობები თუ ყოველ წუთში იფიცებინან; ჩვენ იმაზე ნაკლები ვართ? ავდგებით და ჩვენც გავიფიცებით. ვნახოთ დატრიალდებით მაშინ შენ და ტიტკო თუ არა?

სანი.—(წყენით) არც დავტრიალდებით და არც არაფერი. თუ მართო თქვენი კუჭი გაინტერესებთ და გაზეთი არა, რა მენადღელება. არ გამოვა გაზეთი და ის იქნება.

ივ.—(დაცინივით) შენ და ტიტკოს კუჭი არ გაინტერესებთ აი?! გამოკუჭული ხართ. როცა ფულებს არა გაქვთ ძალიან იცოთ ყურების ჩამოყრა!

სანდ.—მე სწორეთ მომწონს ასოთ ამწყობებ-

ბის საქციელი გაზეთის ინტერესი, კუჭის ინტერესი. რის ინტერესიო, რა ინტერესიო. თქვენზე ნაკლები ინტერესი არავის არა აქვს, ვმუშაობთ, ჩემო ძმავ, მოგვეცი შრომის ქირა, რომ სიმშილით არ მოგვედეთ. არ არის? თუ არ არის დავანებოთ თავი გაზეთის გამოცემას და ის იქნება. ქვეყანა არ გადაბრუნდება. ჩვენ კიდევ სხვა საქმეს მოვნახავთ.

ივ.—(გაჯაფრებით) როცა შენ გშია ტიტკოს და სპირიდონს მაშინ ახსოვს გაზეთის ინტერესები, კუჭი და სხვა და თუ კი იქნა და სად არის გაიძახიან. და მ.თ რომ მოშივდება შენი მტერია. იმ დღეს ტიტკოს ჩაი არ დაელია დილით ისე მოვიდა კანტორაში და მთელი დღე ნაჯინქვლი დათვივით ღრიალებდა. იმ დღეს გაზეთის ინტერესებიც დაავიწყდა და ყველაფერი და სულ კუჭზე ისვამდა ხელს. (იციხის).

სანი.—(ხელებს იფშენეტს და ფეხებს აბზახუნებს) კარგია ერთი თუ ღმერთი გწამთ ნუ დამხარჩევთ ჩემთან რა საქმე გაქვთ. თქვენ იცით და ტიტკომ უმჯობესია ერთი როგორმე ოთახი გავათბოთ თორემ გავიყნებ. ასე მუშაობა შეუძლებელია.

სანდ. (სიცილით) გაზეთის ინტერესებისთვის უნდა გაიყნო.

ივანე. (სიცილით) რასაკვირველია უნდა გაიყნო.

სანი. (წყენით) კარგია ერთი ნუ მასხარობთ. ამ დასაქცევში ფეხი არ არის და როგორ უნდა დავანთოთ ცეცხლი? (იფანეს) მგონი გარეთ მაყალი სდგას, მოდი ჩავყაროთ ნახშირი და ცეცხლი გავაჩალოთ, ხელებს მაინც გაგვითბობს.

ივანე. (წამოადგება) აი გოგრა! ნამდვილი ელისონის გოგრა აქვს სწორეთ. (სანდროს) აბა შენც კი მოიგონებდი მაგისტანა რამეს. ხელებს კი არა ფეხებსაც და გვერდებსაც კი გავითბობთ. გავაჩალოთ ერთი კარგათ! (გადის).

სანდ. ერთი ეს მითხარი, თუ ძმა ხარ, სპირიდონ, აგერ თითქვის მეოთხე წელიწადია რაც ამ გაზეთზე ვმუშაობ და რა არის მიზეზი რომ ერთხელ მაინც ვერ ავიღე ჯამაგირი როგორც რიგია!

სანი. (დამიადით) მიზეზი? უფულობა.

სანდ. იუ! რა პასუხია! ეს უშენოთაც კარგათ ვიცი, ფულები, რომ იყოს ჯამაგირსაც მივიღებ. საქმე იმაშია რა არის მიზეზი, რომ ჩვენ რედაქციაში თავის დღეში ფულები არ არის?

სანი. მიზეზი ის არის, რომ არ შემოდის და არ არის! ხომ ხედავ, რომ გაზეთი ნაკლებათ გადის?

სანდ. საკვირველია სწორეთ, რაც უნდა იყოს იმდენი კი გადის გაზეთი, რომ ხარჯი დაფაროს და ჩვენც ჯამაგირები მივიღოთ და სად ოხრობაში ძიდის არ ვიცი სწორეთ.

იძულებული ვარ ხელმეორედ მივართო ბ-ნ ალაგეთურს, თქვენი გაზეთის საშვალებით, რომ მანაც გამოაცხადოს ვის ნიშნაც თავის მხრივ მედიატორეთ, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლიან შევუდგეთ დაუყოვნებლად საქმეს, რომლის გარჩევა ასე მაინტერესებს.

დათიკო კვანტალიანი.

თქვენი გაზეთის № 37 მოთავსებულია ბ-ნი ჩორთიკას წერილი. მე ვთანხმდები მტყუანი მხარისაგან 25 მან. გადახდაზე თუ ეს ფული უმუშევართ მოხმარდება *) ამასთანავე ეს ფული სამსჯავროს დაწყებამდე უნდა იქნას გადაცემული ვინმე სანდო პირისადმი. ვთხოვ ჩორთიკას დასახელდოს მედიატორენი და დანიშნოს დრო.

იოსება.

*) «მეშაკის მათრახის» რედაქ. აცნობებს ბ-ნ იოსებას, რომ აღნიშნული ჯარიმის დახარჯვას რედაქცია არც ფიქრობდა თავის სასარგებლოთ.

კონსტიტუციის ნანგრევებზე.

მეჯლისის ნანგრევებზედა
დასკუბებულია ტირანი
და ცდილობს სისხლში ჩაახრჩოს
ძველათ ამაყი ირანი!

გ ა ნ ტ ხ ა ლ ე ზ ა

როგორც გავიგეთ; ქიანურელ კომიკთა დრამატიული დასი აპირებს ამ ზაფხულში მოგზაურობას.

ინახულებენ; ხონს, სატილაოს, ორპირს, ჯაპანას, ოქუმს, ოჩემჩირეს, ქვიშხეთს ბანძას, მეგურუშს, ლორთაფონს, საყდრიონს, ცხრა-წყაროს და სხვა ამგვარ ცენტრებს.

წარმოდგენენ; „ქურდს“, „სტუმარს“, „ზღვას“, „რუკი ვერხს“, „ბომბას“ და სხვ.

„ქურდში“ ქუოდს ითაპაშებს ცნობილი დრამატიული კომიკი ვასო ურუშაძე; „რუკი ვერხში“ გოზოდოვიის როლს ითაპაშება იგივე ვასო ურუშაძე. „ბომბაში“ სცენაზე გასკდება ბ-ნი ვასო ურუშაძე.

რეჟისორი ვ. ურუშაძე. წარმომადგენელი ვ. ურუშაძე. სცენებას წამოითხველი ვ. ურუშაძე. რეცენზენტიკ ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასები ჩვეულებრივი იქნება, მაგრამ წარმოდგენები არა ჩვეულებრივი.

შეცდომა: ეს ნომერი ჩვენი გაზეთისა არეულათ არის დაბეჭდილი. მე-10 გვერდზე დაბეჭდილია მე-11 გვერდი, ხოლო მე-14-ზე—მე-15 ე.

ვთხოვთ მკითხველებს სათაურის ციფირებს მიაკციონ ყურადღება კაკითხვის დროს.

რედაქტორ გამომცემელი **თ. ე. ბოლქვაძე**

